



5-67



ყოველკვირეული ჟურნალი

№ 32

წელიწადი 80260



თარიღი №	
ს. მ. მ. №	
კატეგორია №	
ს. მ. მ. №	
ს. მ. მ. №	977/26

33(05)  
3-67



№ 32

22 ენკენისთვე 1913 წ.

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ. — 5 მან. 6 თვ. — 2 მ. 75 კ., 3 თვ. — 1 მ 50 კ., 1 თვ. — 50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



ქოველ კვირეული საზოგადო. ეკონომ.  
მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 5-7 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

**ს ა რ ჩ ე ვ ი:** წლის თავზედ. — ა — ისა. ეროვნულ-კულტურული მოძრაობა ავსტრიის უკრაინაში. — ა. უიფშიძისა. ორი ისტორიული სკოლა. — ეკალიისა. საშინელი ბაროტებსანი. — დ. ვ — ძესი. უკანასკნელი ამბები. აღსარება. — ოლ. ბეჟ-აგლაძისა. აფრის ხეობის შეურყეხა თათბირი. — ს. კ — ისა. სამხური შრესა და ილია ჭყუჭყაძე. მამულ-დედუღით ვაჭრობა. — ა. — ლისა. სრულიად რუსეთის ქადაქთა წარმომადგენლების კრება. შიმშილობა. მასხუხა თ. დღონტის. — რ. გ — ესი.

### წლის თავზედ

დღეს სრულდება ერთი წელიწადი, რაც ჩვენმა ჟურნალმა პირველად იბილა დღის ნათელი. ერთი წელიწადი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფრიად მოკლე დროა და ამ ხნის განმავლობაში, რასაკვირველია, ჩვენ ვერ მოვახერხებდით გაგვეხორციელებინა თუნდ უმცირესი ნაწილი მაინც ჩვენის აზრებისა. მიუხედავად ამისა, ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს ვიფიქროთ, რომ მცირეოდენი კვალი ჩვენმა ჟურნალმაც დააჩნია ჩვენს ცხოვრებას. სრულებითაც არა გვსურს ჩვენ პირად ღირსებას მივაწეროთ ეს მოვლენა. ბეჭდვითი სიტყვა ისეთი იარაღია, რომ თუ კი მას სათავეში გულწრფელი და მართალი აზრი უდევს, იგი ყოველთვის მოახდენს შთაბეჭდილებას. ამას გარდა მრავალ საკითხების განხილვის

დროს, ჩვენ ვიღებთ ისეთ ნიადაგზედ, რომელიც თავისთავად ღირსი იყო ყურადღებისა. ყველა ეს იმის თავდებია, რომ ხმა ჩვენი არ დარჩებოდა ხმად მლალადებელისა უდაბნოსა შინა.

ჩვენი ჟურნალი არ იყო რომელიმე პარტიის ორგანო და ეს იმიტომ, რომ ისეთი პარტია, რომლის აზრებიც ჩვენ შეგვეძლო გაგვევრცელებინა ხალხში, ჯერ-ჯერობით არ არსებობს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენ არც სხვა რომელიმე არსებულ პარტიის პრინციპებს ვაღვიარებდით სავსებით და უკრიტიკოდ, — თავის-თავად იმის მაჩვენებელია რომ, მოქმედების დროს ჩვენ გვქონდა თუ სრული საკუთარი პროგრამა არა, საკუთარი სხემა მაინც, რომელიც განირჩეოდა არსებულ პროგრამათაგან. რაში გამოიხატება ეს განსხვავება?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში ქუდზედ-კაცის გასოციალისტების ხანამ თავისი დრო მოიქამა. ამ მხრივ ჩვენ უსათუოდ კერძო საკუთრების მომხრენი ვართ. ეს არც იბულებითი კომპრომისია ჩვენ მხრივ, არც ტაქტიური მოსაზრება. ჩვენ აქ ვსდგევართ იმ ნიადაგზედ — რა ნიადაგზედაც სუფევს მთელი ეკონომიური სტრუქტურა საქართველოსი. მაშასადამე ჩვენს მოქმედებაში საქართველოს კი არ ვეწევით ჩვენსკენ, არამედ თვით ჩვენ მივდივართ მასთან, როგორც ასეთთან. ეს კი სათავეშივე სცვლის სურათს და განსხვავება ჩვენსა და სხვა გამოცემათა შორის აშკარა ხდება. დიდი უმრავლესობა ჩვენის ქვეყნისა კერძო მესაკუთრეა და დარჩება მრავალი ხნის განმავლობაში მესაკუთ-

რედ. მაგრამ ჩვენი მესაკუთრეობა ისეთ სახეს იღებს, ისეთ საფუძველზედ სდგება და ისეთი ელემენტი იქერს მასში მთავარ ელემენტის ადგილს, სახელდობრ, გლეხობა, რომელსაც არსებითად დემოკრატიზმი არ ეუცხოება. ამიტომ ჩვენ რომ მოგვესურვებინა ხალხისთვის ჩვენი პროგრამის ჩვენება ეს პროგრამა უსათუოდ დემოკრატიული იქნებოდა.

ჩვენთვის იდეა ცარიელი აბსტრაქცია არ არის. ამიტომ ეროვნული იდეა ჩვენთვის იმავ დროს საკითხია ქართულის ენისა, ქართულის ტერიტორიისა, ქართულის ეკლესიისა, ქართულის კულტურისა, ქართულის მესაკუთრეობისა და ვაჭრობა მრეწველობისა. ყოველი იდეა რეალიზაციის დროს იგივეა, რაც ოქროს ფული გადახურდავებული სპილენძის გროშებზედ. ვინც არ აფასებს სპილენძის გროშს, მან არ იცის ფასი ოქროს მანეთისაც. ამიტომ ეროვნულ საკითხის განხილვის დროს ჩვენ ვიცავდით არა მარტო იდეას, როგორც აბსტრაქციას, არამედ მის ექვშვალენტსაც: ჩვენ არ შეგვეძლო ჩვენი თავი ეროვნულ ინტერესთა დარაჯად გვეცნო მარტო იმიტომ, რომ ხმა ავიმალღეთ მაგალითად მაშინ, როცა ბათუმის ოლქში ქართულ ენას დაუწყეს შევიწროება და გავჩუმებულიყავით მაშინ, როცა კავკასიის უმაღლესი მთავრობა „ხიზანთა საკითხის“ სახით ქართულ ტერიტორიას არა ქართველებს ურიგებს. ამიტომ ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ ვიფიქროთ, რომ ზემოხსენებულ საკითხში ნამდვილ ქართულ ინტერესებს ვიცავდით სწორედ ჩვენ და არა ისინი, რომლებმაც ასეთ საკითხშიაც კი ვერ გამოიჩინეს საკმაო პატრიოტიზმი. ეროვნული თავისუფლება ჩვენ მიგვაჩნია უმაღლეს სამართლიანობად და, რასაკვირველია, ამის ღირსნი ვართ არა მარტო ჩვენ, ქართველები, არამედ სხვებიც. ეროვნულ პოლიტიკაში ჩვენ ყოველთვის ანგარიშს გაუწევთ სხვა ერთა უფლებათაც, მაგრამ ჩვენ არას დროს არ დავედრებით იმ პოლიტიკურ რეგვენებს ან გულკეთილ დიასახლისებს, რომლებიც კერძის დარიგების დროს სტუმრებს იმდენს აძლევენ, რომ თითონ უკერძოდ რჩებიან.

ჩვენი დამოკიდებულება ჩვენს ახლო მოსახლე ერებთან გამომდინარეობს თვით საქართველოს ტერიტორიალურ აგებულობიდან. ქართველი ხალხი არავის ცხოვრებაში არ ერევა. მას თამამად შეუძლიან სთქვას, რომ თავის საკუთარ მიწა-წყალზედ სცხოვრობს და ვიდრე ეს ტერიტორია არსებობს, იგი სუბერ-არბიტრია ყველა მთავარ საკითხებში, რომელსაც კი წარმოშობს ამ ტერიტორიის ცხოვ-

რება. ამიტომ ყველა საკითხი ქართულ ეროვნულ თვალსაზრისით უნდა სწყდებოდეს და ამ მხრივ ხელოვნურად შექმნილი სხვა კერძო ინტერესები საკითხები საქართველოში, როგორც ოსური ან სომხური, ჩვენის აზრით „პუჭია“ უნდა დამთავრდეს. სულ სხვაა ჩვენი დამოკიდებულება ჩვენს ტერიტორიის გარეშე მცხოვრებ ერებთან. მაგრამ ასეთი საკითხი არც არსებობს, რადგან ჩვენ მოკლებულნი ვართ პოლიტიკურ საშუალებას, მათთან ესა თუ ის კავშირი გვქონდეს. ყოველ შემთხვევაში, ერთის თქმა კი ეხლაც შეიძლება—ჩვენი არავითარი მიზეზი არა გვაქვს ცუდს განწყობილებაში ვიყოთ მაგალითად განჯის თათრებთან, ან ერევნის სომხებთან.

ეკონომიურ კეთილდღეობის საკითხი უმთავრესი საკითხია ყველა ერისთვის და საქართველოც უნდა ეცადოს, რომ მალე იქცეს მწარმოებელ ქვეყანად. ვაჭრობა ეროვნული უნდა იყოს, სოფლის მეურნეობა ინტენსიური. ამიტომ ჩვენ მუდამ მომხბრე ვიყავით ეკონომიურ ცხოვრების ისეთ ფორმებზედ მიგვეთითებინა, რომელნიც გააადვილებენ ეკონომიურ აღორძინების პროცესსა. კოოპერაცია და წვრილი კრედიტი, აი პირველი ეტაპი, რომელიც უნდა გაიაროს ჩვენმა მეურნემ. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს პროცესი უკვე არსებობს. ჩვენს სამშობლოში უკვე არის ისეთი კუთხეები, რომლებიც ინტენსიურ კულტურის მაგალითს წარმოადგენენ. კახეთის რკინის გზა, რომლის დამოუკიდებლობას ჩვენ მუდამ ვიცავდით, სრულიად შესცვლის სამეურნეო სურათს კახეთისას და სხვა პროვინციები არ დააყოვნებენ თავიანთშიც გააფართოვონ ინტენსიური მეურნეობა. ამიტომ ჩვენი ყურადღება შრომისა და კაპიტალის ერთმანეთთან ბრძოლაზედ კი არ იყო მიპყრობილი, არამედ ამ შრომის გაადვილებაზედ და ამ კაპიტალის შექმნაზედ. და ეს გარემოებაც, რასაკვირველია, არსებით განსხვავებას ჰქმნის ჩვენსა და სხვა არსებულ გამოცემათა შორის.

ჩვენ შევებთ აქ მთავარ საკითხებს და გამოვსთქვიით ჩვენი შეხედულება ამ საკითხებზედ. გონიერი მკითხველი უსათუოდ მიხვდება, რომ ზემო აღნიშნული შეხედულებანი თავისთავად ახალ პოლიტიკურ შეჯგუფებას მოითხოვენ ჩვენში. არსებობს კი ისეთი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც თავს იღებდა ყველა ზემო აღნიშნულის ქადაგებას და სისრულეში მოყვანას? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა! ამის გაკეთება არ შეუძლიანთ არსებულ

პოლიტიკურ ჯგუფებს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ბევრ ისეთ რამეზედ უნდა სთქვან უარი, რაც ერთად-ერთი შეადგენს მათ თანამედროვე პროგრამების სიუხვეს. მაგრამ რადგანაც ეროვნულ ინტერესების დაცვა შეუძლებელია ნახევარ სიტყვით, ნახევარ თვალის ჩაკვრით და ნახევარ ბიჯით, ჩვენც გვგონია, რომ სიტყვას, ჩვენგან ასე

მოკრძალებით ნათქვამს იმ დღეს, როცა პირველად გამოვიდა ჩვენი ჟურნალი, თან მოჰყვება საქმეც და საქართველოს რეალური პირობებიც. ჩვენ ახალ შეჯგუფებას, ახალ ორგანიზაციას, ჩვენს ინტერესებს წმინდა მოვალეობას ერის ინტერესების დაცვისას.

ა - ი.



## ეროვნულ-კულტურული მოძრაობა ავსტრიის უკრაინაში

ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთით სძევს კარგა მოზრდილი პროვინცია, სახელად გალიცია. პროვინციას სრული ავტონომიური უფლება აქვს მინიჭებული და თვის შინაურ საქმეებს საკულტარის სფეროს დახმარებით განაგებს. იმპერატორის წარმომადგენელად არის ნამესტნიკი, ანუ მისი მოადგილე, უსათუოდ პოლონელი.

გალიციაში მარტო პოლონელი ოთხ-ნახევარი მილიონია, ხოლო უკრაინელი, ანუ როგორც ქართლელი გლეხი ეძახის „ხახოლები“, სამი მილიონი. პოლონელი ჰბატონობს გალიციაში, რადგან ამის უნარიცა აქვს და შეძლებაც. სწავლა-განათლებით და მალაღის კულტურით ისე მდიდარია, რომ თითქმის არაფერში ჩამოუვარდება თვით ავსტრიის ნემცებს. ჯერ ბევრი კოკა გატყდება წყალზე, ვიდრე ღარიბ ლატაკი, სოფლელი, ტეტია „ხახოლი“, გაუნათლებელი და გაუწრთვნიელი დაეწევა პოლონურ ძველსა და მალაღს კულტურას.

მიუხედავად ასეთი განსხვავებისა, გალიციის უკრაინელი სწორედ რომ ტეტიურის ჯიუტობით შეუდგა თვის ეროვნულის სახის დაცვას. არ უნდა რომ გაითქვიფოს პოლონურ მალაღ კულტურაში და წელზე ფეხს იდკამს, რომ როგორმე გაუსწორდეს ამას და ლაღს პოლონელს, მოიპოვოს სრული პოლიტიკური უფლება და წილი ჩაიდოს ქვეყნის (გალიციის) მართვა გამგეობაში, ესე იგი იმდენი დებუტატი იყოლიოს სეიმში, რამდენიც შეეფერება ამ ეროვნების რაოდენობას.

აქაც, როგორც სხვაგან, სადაც პატარა დაჩაგრულს ერს სიცოცხლის ნიშანი გამოუჩენია, საქმე ერის განათლებიდან დაიწყო. ინტელიგენციის მცირე გუნდი მხნედ შეუდგა წერა-კითხვის გავრცელებას დაბეჩავებულ ერში და მიზნის მისაღწევად

დააარსა სასკოლო საზოგადოება სახელად განათლება (პროსვიტა), სწორედ ისე როგორც ჩეხებმა განთქმული „მატიცა“. უნდა კი გვახსოვდეს, რომ ავსტრიის იმპერიის პოლიტიკური პირობანი ხელს არ უშლიან ასეთს მოღვაწეობას.

დიდი გალიციის უკრაინის „პროსვიტა“ უკვე მძლავრი და ღონიერი დაწესებულებაა მრავალის განყოფილებით. პირველი საფეხური „პროსვიტასი“ სამკითხველოა, რომელიც თავის თავად გადაიქცა სოფლის კლუბად, სადაც რასაკვირველია ბანქოსა და ლოტოს ქაჭანება არ არის, როგორც ჩვენს კლრთხეულ სოფელ ახალქალაქში. სამკითხველო-კლუბთან ჩვეულებრივ ფეხს იკიდებს და წელში მაგრდება მომხმარებელი დუქანი და საურთი-ერთო დახმარებელი დახლი (კასა). მეორე საფეხური — სამაზრო ქალაქის „პროსვიტას“ განყოფილებანი ნამდვილი ქურაა, სადაც იქედება და იკვერება ყოველი საქმე სწავლა-განათლებისა, პოლიტიკისა და მოქალაქობისა. ამ განყოფილებებთან არსდება დიდი ბიბლიოთეკანი, სათეატრო ზალები, საარტიტო და მგალობელთა საზოგადოებანი. განყოფილებათა წევრნი თვით „პროსვიტას“ წევრებად ითვლებიან, რომლის მთავარი გამგეობა ცენტრში იმყოფება ქლვოვში. აი რანაირად იზრდება „პროსვიტას“ სამოღვაწეო ასპარეზი.

1909 წ. იყო სოფლად 2286 სამკითხველო 84,950 წევრით, ხოლო 1913 წ. 2611 სამკითხველო 130,000 წევრით. 1907 წ. „პროსვიტას“ ჰქონდა მაზრებში 62 განყოფილება 20,000 წევრით, ხოლო 1913 წ. 74 განყოფილება 35,000 წევრით. „პროსვიტამ“ დაჰბეჭდა 445 სახელ-წოდების წიგნი სამს მილიონ ცალზე მეტი, დააარსა სოფლის სამკითხველოებთან (კლუბებთან) 540 მომ-

ხმარებელი დუქანი და 257 საურთიერთო დამხმარებელი დახლი. ამას გარდა 425 სოფელში მოაწყო 1,794 მაჩვენებელი მინდორი, გახსნა პროვინციაში ორი სასოფლო-სამეურნეო სკოლა—ქალებისთვის და კაცებისთვის და სავაჭრო სკოლა ქლოვში.

ყველა ეს კარგია და კეთილი, მაგრამ პირველი ხომ ისაა, რომ ეკონომიურად გააღონიერო ერი. ამის გამო გალიციის უკრაინის ინტელიგენცია ჯერ ისევ წარსულ საუკუნის დასასრულს მხნედ შეუდგა ეკონომიურ ნიადაგზე ფართოდ მუშაობას. საქმეს ის აძნელებდა, რომ მდიდარი ხალხი უკრაინაში ძრიელ ცოტაა, რომელთაც შეეძლოთ თავისი ძალ-ღონე შეალიონ ამ სფეროში მუშაობას.

ეკონომიურ ნიადაგზე მუშაობით, გალიციის უკრაინის ინტელიგენცია აპირობდა სამი კურსდღის დაქერას. პირველი—გაეუმჯობესებინა ნივთიერად ერი; მეორე—ჩამოშორებოდა და განთავისუფლებულიყო უკრაინელი პოლიტიკურად პოლონურ საეკონომიო დაწესებულებებს, რომ არჩევნებში თავისუფლად ემოქმედნა და მესამე—შეჰქმნა ისეთი პირობანი, რომ მომზადებულიყო მუშაკთა გუნდი, რომელსაც შესძლებოდა თვითარსებობა, განვითარება და მუშაობა.

ვლადიმერ ვიკტოროვი, რომლის საყურადღებო წერილიდანაა ამოკრეფილი აქ მოყვანილი ცნობები, გვარწმუნებს, რომ სამივე სფეროში, ესე იგი საეკონომიო, საპოლიტიკო და საკულტუროში დიდი ნაბიჯი გადასდგა წინაო გალიციის უკრაინამ. „სოფლის მეურნეთა ამხანაგობა“ იმავე პრინციპზე მოუწყვიათ, რა პრინციპზედაც არის აგებული „პროსვიტა“. ამხანაგობას 90 განყოფილება აქვს სამაზრო ქალაქებში 26,000 წევრით, ხოლო სოფლად მოუწყვია 1,151 საკრებულო.

„ამხანაგობამ“ ისეთი სიყვარული დაიმსახურათურმე, რომ აურიცხველი შეწირულება მოსდის და ანდერძით მრავალ ქონებას უძღვნიან. ამ ამხანაგობის გარდა, ინტელიგენციამ შეჰქმნა „საოლქო სარევიზიო კავშირი“. რომელმაც დუღაბივით შეაერთა მთელი უკრაინის კოოპერატივები ერთ ეროვნულ ძლიერ დაწესებულებად და „საკრედიტო კავშირი“, რომელიც ეხმარება ფულით კოოპერატივებს. უკანასკნელმა ისეთი პატრონობა და დახმარება გაუწია კოოპერატივებს, რომ საკოოპერაციო საქმე ეხლა დევ-გმირულის ნაბიჯით მიდის წინ. თვით „საკრედიტო კავშირი“ ფრიად ღონიერ ფინანსიურ დაწესებულებად გარდაიქცა.

1911 წელს იყო სულ 511 კოოპერატივი, ხოლო 1912 წ. უკვე 557. 1911 წ. კოოპერატივების წევრთა რიცხვი უდრიდა 176,000, ხოლო ბალანსი კოოპერატივებისა იყო 47,632,000 კრონა, ხოლო თანხის ტრიალი უდრიდა 283 მილიონ კრონას.

არსებობს კიდევ „დამზღვევი საზოგადოება დნესტრი“ და „საურთიერთო ნდობის საზოგადოება დნესტრი“. დაუფასებელი მნიშვნელობა ამ ორის საზოგადოებისა; იმის გარდა რომ პირდაპირ თავის დანიშნულებას ასრულებენ, ისაა, რომ მათი აგენტები უდიდეს კულტურულ როლს ასრულებენ. აქ მუშაობა ლუკმა პურს აძლევს ათასობით დამზღვევ ინტელიგენტ აგენტებს, რომელთა შემწეობით ადვილად ვრცელდება სოფლად ახალი აზრები.

ამ საეკონომიო შენობის დასამთავრებლად საჭირო იყო ჰიპოტეკური ბანკი და აკი ესეც დაიარსეს. ძირითადი თანხა ბანკისა ერთი მილიონი კრონაა და ბალანსი უკვე უდრის 10 მილიონ კრონას.

მთავრობა უკრაინელებისთვის ინახავს მხოლოდ ექვს გიმნაზიას და ამდენივე საკუთარის ხარჯით დაიარსეს თვით უკრაინელებმა. დაბალ ტიპის სკოლებისთვის მასწავლებლებად ხშირად პოლონელები იყვნენ, რადგან თავიანთი არა ჰყავდათ. ეს უხერხულობაც მალე მოსპეს და უკრაინა მოჰფინეს საპედაგოგო კურსებით, რომელნიც საკმარისად ამზადებენ მასწავლებლებს.

ერთის სიტყვით, გალიციის უკრაინა, გუშინ მასხარად აგდებული, რადგან იყო უხეირო, გაუნათლებელი და ღარიბი და აბა ხომ მოგეხსენებათ რომ ასეთის დოვლათის პატრონს თავაზით არ ვინ ეპყრობა, დღეს შესამჩნევი კულტურული ძალაა. მას აღარ ეშინიან ამაყ პოლონელისა, აღარც მისის მდიდარის და ძველის კულტურისა და იმედინად შეჰყურებს მომავალს. გალიციის უკრაინელი ისე გათამამდა, რომ საკუთარ უნივერსიტეტსაც თხოულობს, უსათუოდ ლოვში, სხვაგან არ უნდა. ჯერ არ აძლევენ, მაგრამ მალე იშოვნის, რადგან მხნე და უნარიანი ადამიანი ყველაფერს იშოვნის.

გალიციის უკრაინის აღორძინება და წინსვლა შედგება თვითმოქმედებისა და იმ შინაურ ძალისა, რომელიც თვით ერთში მოიპოვება. სხვი სხვეწნა-მუდარას თავი დაანებეს და იმედი მარტო საკუთარ ძალ-ღონეზე დაამყარეს და აკი იმედიც არ გაუც-

რუდით. ტარას შევჩენკოს ტკბილი ენა აქ, გალიციის ფერაინაში, ვარდივით იშლება.

ა. უიფშიძე.

### ორი ისტორიული სკოლა

სომხის შოვინისტებს ძალიან ეწყინათ პროფესორ მარრის განცხადება; რომ ძველად, ძველ ქალაქ ანის ნანგრევებში ბევრი ქართული ნაშთები მოიპოვება.

ცნობილმა მეცნიერმა ამ ქალაქში სხვათა შორის აღმოაჩინა ქართული ტაძრები, სახლები და წარწერები და როცა მას ჰკითხეს, რომელ ერის ისტორიას ეკუთვნის ეს ნაშთებიო, უპასუხა—ქართველობასაო.

სომხებს ეწყინათ, როგორ თუ ქართველებსო? როცა ეჩმიაძინში შესწავლილი გვაქვს, რომ არამცთუ ქ. ანი, თბილისიც კი მარტო სომხებს ეკუთვნოდაო.

ძალიან ეწყინათ... და ამიტომ გამოუცხადეს მეცნიერ მარრს სასტიკი ბოიკოტი.

მუშები გაურეკეს, საკმელი აღარ მისცეს. სომხის ქალაქებში სასტუმროებმა კარები მოუკეტეს.

პროფესორმა თბილისამდის თავი ძლივს მოაღწიაო, მოგვითხრობს უკანასკნელი ამბავი. ასე სასტიკად მოექცა სომხობა დარბაისელ პროფესორ მარრს, რომელიც ათი წლის განმავლობაში ქ. ანის ნანგრევებზედ თავის მძიმე მეცნიერულ მოვალეობას პატიოსნურად ასრულებდა და სიყვარულით იკვლევდა ისტორიულ ერების კვლებს და ამ შრომით უდიდესი სამსახური გაუწია თვით სომხის ისტორიასაც, მრავალ სომხის ნაშთების აღმოჩენა-გამოკვლევითა.

ასე სასტიკად მოექცნენ მარტო იმიტომ, რომ ქ. ანში მეცნიერმა საქართველოს კულტურული ნაშთები აღმოაჩინა და განაცხადა!.

ვულგარული და საზარელი ქცევა! მოვახსენოთ, ბატონებო,—ჩვენში იყო ორი ისტორიული სკოლა:

პოლიტიკური და საარშინო—დუქნური.

პირველ სკოლაში იზრდებოდა ქართველობა, მისი გავლენით საქართველო 18 საუკუნე წინა აზიის ქრისტიანობის დარაჯად იდგა და სისხლისაგან იცლებოდა.

მეორე სკოლაში იზრდებოდა სომხის ვაქრობა და საქართველოს მფარველობის ქვეშ, მშვედობიანად ზომავდა და სუქდებოდა.

პირველ სკოლამ დაჰბადა არჩილ ჯორჯაძე თავის კეთილ-შობილურ პოლიტიკით—ურთიერთ სოლიდარობისა, ძმობისა.

მეორე სკოლამ—ა. ხატისოვი თავის უზრდელ დუქნურ შოვანიზმით.

სჩანს ამ სკოლიდან გამოვიდნენ ის ბატონებიც, რომელთაც ეწყინათ ქართველების ისტორიული მეზობლობა ქ. ანში და ასე შესაზარად მოექცნენ ცნობილ მეცნიერს პროფესორ მარრს.

ეკალი.

### საშინელი ბოროტებანი

საშინელი ამბები მოგვდის დასავლეთ საქართველოდან. დღითი-დღე კოოპერატიულ ამხანაგობებში რევიზია ბოროტმოქმედებას აჩენს. იქ ამხანაგობის ფულები გაფლანგეს, აქ გამგენი შანტაჟისტური ოპერაციებით კოოპერატივში, თვალებს უხვევენ ხალხსა და ხელებსაც ითბობენ. ამას წინად ჩვენ ვწერდით ქუთაისის კოოპერატივებზე. მომხმარებელ საზოგადოებაზე „პროგრესზე“, რომელიც არაკეთილ და უწესო საქმის წაყვანის წყალობით კიდევ მიიკეტა. ვწერდით ქუთაისის სახელოსნო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაზე, სადაც მეთაურებმა ამხანაგობის კასას ფულები მოაკლეს. დღეს სია ამ „კოოპერატივებისა“ გადიდა. როგორც ვახ. „ზაკავახსკაია რეჩი-ს“ კორესპონდენტი გურიიდან იწერება მათ მოემატა—შუხუთის ამხანაგობა, რომლის გამგეობამ თავის ბოროტმოქმედებით და შანტაჟობით მიწის იჯარით აღებაში ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან, ისეთი ზარალი მიუყენებია ამხანაგობისათვის, რომ უკანასკნელს აქამდის სული ვერ მოუბრუნებია. ეძებენ დამნაშავეს და ვერ „მოუნახიათო“ დასძენს კორესპონდენტი. ნიგოთის საკრედიტო ამხანაგობის მოთავეებმა კი პირდაპირ და დაურიდებლად ამხანაგობის სალაროში მყოფი ფული, 625 მანეთი, ერთმანეთში გაინაწილეს და შექამეს. ამ გვარივე ამბავი მოხდა ცივ-სლობოდის და დიმის ამხანაგობაში, რომლებშიაც რევიზიამ დიდი ფულის გაფლანგვა აღმოაჩინა. მათ შორის დიმის ამხანაგობის მეთა-

ურების ცინიზმმა იქამდის მიიღწია, რომ მარტო იმ ამხანაგებს აძლევდნენ ფულს, ვინც მათ საქმეს უკეთებდა. მაგალითად სესხის გამომტანი მოვალე იყო უფასოდ ემუშავნა გამგეობის წევრების მინდვრებზე. მარტო ამის შემდეგ ამხანაგობიდან ფულს მიიღებდა. არ ვიცით დასავლეთ საქართველოს და ნარჩენ კოოპერატივებში რა ხდება, მაგრამ ჯერჯერობით ზემო ჩამოთვლილი ამხანაგობათა რიცხვიც კმარა, რომ პატიოსან ქართულ კოოპერატივთა წრეებში ამ ამბებმა დიდი გულის-წყრომა გამოიწვიოს და ამ საშინელ ბოროტებას, ქართულ კოოპერატიულ ამხანაგობებში მომხდარს სერიოზული ყურადღება მიაქციონ.

მართლაც ხომ საშინელებაა, რომ ჩვენი კოოპერაცია ისე ეწყობა, რომ ყოველ მოხერხებულ სოფლის „მაშენიკს“ ადვილად შეუძლიან ხალხი დაიყოლიოს, გაახსენებინოს, მაგალითად, საკრედიტო ამხანაგობა და მერმე გემრილად მიირთოს ხალხის ფულები.

ჩვენ რამდენჯერმე ვწერდით და ხაზს უსვამდით, რომ სრულებით საკმარისი არ არის მარტო კოოპერატივის გახსნა... საჭიროა მისი მოვლაც. ამისათვის კი ჯერ პატიოსანი და მუშაკი მოთავეები უნდა მოიძებნოს. რამდენი მაგალითია იმისა, რომ დღევანდელი კოოპერატიული ორგანიზაციები უპატიოსნო მიზნებით არსდება. იქ მღვდელი ვილაცას დაემუქრა და საკრედიტო ამხანაგობა თავისათვის გაუხსნია, აქ ვილაც მემამულეს მოუწყვია „კოოპერაცია“ და ფულები თავის ცოლ-შვილს, ძმებს და დებს დაურიგა და სხვა და სხვა... ჩვენი ცხოვრების ბნულ ორლობებიდან გამოვიდნენ მგლები ცხვრის ტყავში გახვეულნი... გამოდიან თამამად... ჰყვირიან ხალხის ჭირ-ვარამზე და სტირიან მათ სიბნელეს, სილატაკეს, ჰპირდებიან შველას, დახმარებას .. „ხალხმა“ გამოიღვიძა, არიქა ბიჭებო „კოოპერაცია“ მოვაწყოთ! „გაჰკივიან ეს მგლები... და აწყობენ „კოოპერაციებს“, სჭამენ მათ ფულს, სჭამენ ხალხს და უფრო დიდ უბედურობაში აგდებენ საწყალ სოფლებს. რა გასაკვირველია, რომ ამ ვაებატონების „მუშაობის“ წყალობით, კოოპერატიული იდეა ირყვნება, მცირდება და მალე ხალხის მასსაში გასავალიც აღარ ექნება. ეს საშინელება აიხსნება იმით, რომ დღეს ქართული კოოპერაცია უპატრონოდ მიტოვებულია... ქართული პრესას რომელსაც ძალიან უყვარს ხალხის სახელით ლაპარაკი და ფიცი, რომ იგი მარტოდ მარტო ხალხის ინტერესებს ემსახურება, ჯერ ამ ინტერესებისათვის ბევრი არა-

ფერი გაუკეთებია რა... მაგალითად რითი აიხსნება, რომ სახალხო კოოპერატიულ ორგანიზაციებში მომხდარი საშინელი ბოროტებანი ყოველდღიურმა პრესამ უყურადღებოთ დასტოვებულ შემთავრებმა ფ. მახარაძეზე ორი თვის განმავლობაში არა ერთ ქართველს გული შეუწუხეს, ბრიყვ და ვულგარულ „პროტესტებით“ ფურცლები აავსეს და ნამდვილი ხალხის ვარამი კი აბუჩად აიგდეს... ვინ არის მერე პასუხის მგებელი ამ ბოროტებაში... რასაკვირველია ჯერ ისინი, ვინც ეს ბოროტება ჩაიდინეს და დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ბოროტმომქმენი დასჯილნი იქნებიან; მერმე ჩვენი მოღვაწე კოოპერატორები, რომელნიც დაქსაქსულად და უკავშიროდ მუშაობენ და ქართული პრესა, რომელსაც დღეს ლოძის და ცარეგოკშიასკის მუშათა მდგომარეობა უფრო აინტერესებს, მინამ დაჩაგრულ ქართველ გლეხთა ცხოვრება.

დ. ვ—ძე.

## უკანასკნელი ამბები

**მცხეთის მონასტრის საქალებო სკოლის ბედი.** თუ არ ვცდებით მცხეთის სამთავროს საქალებო სკოლა 20 წელიწადია არსებობს. მან გამოზარდა მრავალი ჩვენი მანდილოსანი. ეს იყო ერთ-ერთი საქალებო სკოლა, სადაც ქართული სული მეფობდა, სადაც ქართულ ტრადიციებზედ მრავალი ქართველი ქალი იზრდებოდა. მაგრამ დღეს ყველა ქართულის დევნა მოდაში არის. ამ სკოლასაც გამოუჩნდნენ მღვდელნი. მღვდელი ვოსტორგოვი დიდი ხანია გაიხიზნა საქართველოდან, მაგრამ მისი მიმდევარნი კი აქ დარჩნენ. საეპარქიო სკოლის ზედამხედველი მღვდელი პაშკევიჩი დიდი ხანია მტრულად უყურებდა სამთავროს საქალებო სკოლას, და რადგანაც იგი მის „პატრიოტულ“ ზედამხედველობას არ ექვემდებარებოდა (აქამდის სკოლა მარტო ეგზარხოსის ხელ-ქვეით იყო), იმდენი ღონე იხმარა, რომ დაუქვემდებარა ცნობილ „ეპარქიალურ საბჭოს“, სადაც ქართულ ეპარქიალურ სკოლებს ბ. ბ. „მისიონერები“ რუსთა პატრიოტიულ პროგრამებს და ინსტრუქციებს უცხოებენ.

ბ. პაშკევიჩის მიერ სკოლის დაპყრობას მოჰყვა ის, რომ მან დაუყოვნებლივ მოითხოვა ქართველ მასწავლებელ ქალის გადაყენება და რუსის და-

ნიშნა. როგორც ამბობენ ეს მარტო პირველი ნაბიჯია. საიდუმლო და საბოლოო განზრახვით აქვთ თვით ძველ ქართველ დედათა სამთავრის მონასტრის ხელში ჩაგდება. არ ვიცით რასა ფიქრობს მცხეთის ილუმენია?

ნუ თუ ამ ნაირი მდგომარეობა არ იძულებს მას დახუროს საქალებო სკოლა?

ბ. ბ. ვოსტორგოვების და პაშკევიჩების „პოლიტიკური სკოლები“ საქართველოს არ უნდა! მადლობა ღმერთს მაგალითისადვის შორს არ მოგვიდება წასვლა. წმ. ნინოს ბოდბეს მონასტერი... იქაც ვგრე დაიწყეს ბ. ბ. ვოსტორგოვებმა გაიჩინეს „კულტურული“ ბუდე - საქალებო სკოლა და ნელ-ნელა მიჰყვნენ: ჯერ ქართული წირვა დოცვა ეკლესიიდან განდევნეს; მერმე ქართველი მოლოზნები, მერმე ქართველი მღვდელი და ეხლა ერიც... დღეს, უდიდეს საქართველოს საფლავის ახლო ერთ ქართველ მომვლელ ქალს ან კაცს ვეღარ ნახავთ!... ეს მაგალითიც საკმარისია.

**ქართულ სოფლების აყრა** ჩვენ გვატყობინებენ, რომ კავკასიის საშხედრო მართველობას გადაუწყვეტია ჯარის სახაფხულო ლაგერისთვის შეიძინოს ქართლში 12000 დესეტინა. ეს ალაგი მდებარეობს „კვერნაკის“ კალთებზე (სადგურ კასპის ახლო), ერთ მხრივ შეიცავს აშურჩიანის ველს და მეორეს ტირიფონის მიდამოს. ამ შეძენას თანაჰყვება მრავალ ქართულ სოფლების აწიოკება—აყრა. სოფლებს—**გამდლის წყაროს, ზემო რენეს, ქვემო რენეს, ნაწრეთს, ნადარბაზევს, შაშვებს, ნიქოზს და სხვ.** ეს „უსიამოვნება“ მოვლით. არ ვიცით განა ხაზინას მიწები ისე გამოვლია, რომ საკუთარ ალაგზე ვერ მოუწყვიათ ლაგერი? ან რა ფასით სამხედრო მართველობა ჰფიქრობს ანაზღაუროს ხალხის ასეთი აწიოკება? მერმე ვინ და როგორ დაეხმარება უბედურ სოფლებებს ახლად დასახლებაში და სად?

**პროფესორ მარრის ანიდან განდევნა.** ცნობილი პროფესორი მარრი, როგორც მოეხსენება მკითხველს, დიდი ხანია მუშაობს ძველებურ ქალაქ ანის ნანგრევებში, სადაც აღმოაჩინა მრავალი ქართული, სომხური, ბერძნული და თათრული ისტორიული ნაშთები. ამ ნაშთებისათვის თვით ქ. ანში ბ. მარრს მუზეუმი მოუწყვია, სადაც უკანასკნელი შენახულნი არიან. დიდი შრომა და ჯაფა დახარჯა პროფესორ მარრმა ამ საქმეზედ. 10 წელიწადია მე-

ცნიერი ობიექტიურად იკვლევდა ანის ნანგრევებს და ნაშთების ისტორიას და როგორცა ვსთქვით აღმოუჩინა ანში სხვა და სხვა ამიერ კავკასიის ერების კვლები. როგორც გვიამბეს ამჟამად, ანს ეწვია ორი უცხოელი მგზავრი. პრინციპალმა დაატარა ანის ნანგრევები. აჩვენა მუზეუმი. მარრი უხსნიდა სტუმრებს სხვა და სხვა ნაშთების წარსულს და სხვათა შორის მიუთითა ქართულ კულტურის ნანგრევებზედ—ტაძრებზედ, სახლებზედ და სხვ. ეს ძალიან არ მოეწონათ იქ მყოფ სომხებს. როგორ თუ ძველებურ სომხის ქალაქში ქართულ სახელს იხსენიებო. გაუწყრნენ... და ბოიკოტი გამოუცხადეს. მუშები აღარ მიაკარეს, საქმელი არ მისცეს და პროფესორი მარრი იძულებული იყო მუშაობაზე ხელი აეღო და მიეტოვებინა ქ. ანი. მაგრამ ამითი არ გათავდა სომხების ბოიკოტი მარრის წინააღმდეგ. მოგვითხრობენ რომ ქ. ალექსანდროპოლში არც ერთ სასტუმროში მეცნიერი არ მიუღიათ... „ალაგი არა გვაქვსო“!.. და ისე მტრულად ეკიდებოდნენ, რომ პროფ. მარრს წყლის დაღვევაც ვერ მოუხერხებია. ვაი თუ მოწამლული იყოსო. ძლივს ტფილისამდის მიაღწია. ასე მოგვითხრობენ მრავალი ხმები ამ ინციდენტის გარშემო... რას მოგვითხრობს ეხლა სომხის შოვინიზმის გაზეთი „ჰორიზონი?“

**სია იმ დაწესებულებებისა, რომელთაც ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ თანახმად 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვის § 20, გაუნაწილა 4000 მან.**

1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ილია ქავკაძის ძეგლის აგებისათვის . . . . . 500 მან.
2. ქართველ კათოლიკეთა პანსიონს კონსტანტინოპოლში . . . . . 200 მან.
3. ხარფუხის ქართულ დრამატიულ წრის გამგეობას სახალხო წარმოდგენების გამართვისათვის . . . . . 100 მან.
4. სახალხო სახლთან არსებულ დრამატიულ წრეს სახალხო წარმოდგენების გამართვისათვის . . . . . 300 მან.
5. გორის საქალებო კრა-კერვის სკოლას . . . . . 300 მან.
6. სოფ. მუხრანის საბავშო შესაფარს („იასლი“). . . . . 300 მან.
7. კავკასიის ხელოვნების გამავრცელებელ საზოგადოებას ღარიბ ქართველ მოწაფეთა სტიპენდიებისათვის . . . . . 150 მან.



- 8. ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოებას ქართულ სკოლის შენახვისათვის. . . . . 100 მან.
- 9. ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოებას . . . . . 200 მან.
- 10. თბილისის საბალოსნო სკოლას ქართველ მოწაფეთა სტიპენდიებისათვის . 600 მან.
- 11. ნაძალადევის სკენის მოყვარეთა წრეს წარმოდგენების მოწყობისათვის . 100 მან.
- 12. ქართულ გიმნაზიასთან დაარსებულ უფასო სასაღილოს . . . . . 300 მან.
- 13. ჟურნალ „განათლებას“ . . . . . 100 მან.
- 14. საბავშვო მზრუნველთა საზოგადოების გამგეობას . . . . . 100 მან.
- 15. კავშირ „კაპიციის“ საზოგადოებას . . . . . 50 მან.
- 16. ვ. ს. მესხიშვილს საიუბილეო ჯილდო . . . . . 500 მან.

# ა ღ ს ა რ ე ბ ა

(მოთხრობა კიუ-დე მანსანისა).

მოელი ქალაქი ვეზუ-დე-რეტელი დაესწრო ბაღან — ელრემენსეს დასაფლავებას. დამსწრეთა უმეტეს ნაწილს უურეში დიდხანს უბეუოდან მრეჟექტურის წარმომადგენელის სიტყვები: „ერთი პატიოსანი კაცი კიდევ დაგვაკლდა“.

სიტყვებში იგი თავისი მოქმედებით, უფაქტეოთ, ტანის მოყვანილობით, სხის გამომეტყველებით პატიოსანი კაცი იყო; წვერი რა არის, წვერსაც-გი ისე იუენებდა, შლიანსაც ისე ატარებდა, რომ იგი მუდამ პატიოსნად იყო ხალხში ცნობილი. თითოეულ მის სიტყვაში სწავლა-მოდგურება იხატებოდა, თითოეულს გაცემულს მოწყალებას თან აუალებდა კეთილს რჩევასა, უფაქტეო მისი ხელის მოძრაობა მაღლიანს კურთხევას ემზავებოდა.

საკვდილის შემდეგ განსვენებულს ქალ-ვაჟი დარჩა. ვაჟი საბჭოს წევრად იყო, ქალი კი ზეარელ დე-ლა-გუტს ჰყავდა ცოლად;

გუტი ნატარიუსად იყო ქალაქ ვეზიში და ეკვლა დიდს პატივს სცემდა.

მამის სიკვდილმა ძლიერ შეწყება შეიღებო.

დასაფლავეს თუ არა მამა, ქალ-ვაჟი და სიძე მამინათვე სახლში დაბრუნდნენ, კარები ჩაკეტეს, აიღეს ანდერძის ქალაქი, რომლის წაკითხვაც მხოლოდ მიც-

ვალბედის დასაფლავების შემდეგ შეიძლება და დაიწეს კითხვა. ზეარელ დეა გუტმა, როგორც ნატარიუსმა და ამ საქმის კარგად მცოდნემ, გახსნა ანდერძის ქალაქი, გაიკეთა სათვალეები და დაიწყო კითხვა: „ძვირფასო შეიღებო! სამარადისო ძილი ვერ მომსვენებს, თუ რომ ვუბოში მდებარემ მაინც არ ვაგზობიარეთ ის დიდი დანაშაული, რაც სიტყვადეს მომხამა და ისე სასტიკად მტანჯავდა.“

დაად, მე ჩავიდინე საშინელი და საზარელი დანაშაული.

მაშინ თცდა-ექვსის წლის ვაჟი, ვცხოვრობდა ზარიზში და სასამართლოში ემსახურობდა, როგორც საზოგადოდ ეკვლა ახალგაზრდები, რომლებიც პროვინციას თავს ახუბუენ და დედა ქალაქს ესწრაფებთან, სადაც მათ არც ნაცნობნი, არც მეგობრები, არც ნათესავები არა ჰყავთ.

აქ მე საუვარელი გავიჩინე. ამ სიტყვის გაცონება ბევრს მეტად სძულს, მაგრამ ბევრნი არიან იმისთანებიც, რომლებსაც მარტოდ ცხოვრება არ შეუძლიანთ. მეც იმთ ვეკუთვნი. მე საშინელს მოწყენილობას ვგრძნობ, როდესაც მარტო ვარ ჩემს ოთახში დამ-დამობით. ვზივარ ბუხართან და მგონია, რომ მხოლოდ მე ვარ ქვეყანაზე; საზარელს მარტობას ვგრძნობ, გარს მახუევი სხვა და სხვა გვარი გაუგებარი და საშიშარი მოჩვენებანი; ჩემი უცნობი შეზობელიც-გი, რომლის ოთახისაგან თხელი კედელი მეფის ისე დამორებული მგონია, როგორც აი ის ვარსკვლავებო, რომლებსაც მე ესლა ფანჯრიდან ვხედავ. მოეთმენლობისა და მიმის ზარი მიტას, ტანში ცივი ვრუანტული მივლის, კედლების მდუმარება მიშითა მზარავს. გეცოდანებათ, რამდენად დრმა და მოსაწყეხია შეუდროება ოთახისა, რომელშიც მარტოდ-მარტო სცხოვრობთ. სიჩუმესა და შეუდროებას შეუზურია არა მარტო აქვენი სხეული, არამედ თვით სულაც და უფაქტეო ფანუნი აუფეულობისა უზომოდ გაშინებთ, რადგანაც არავითარს ხმურობას არ მოკლით შავ-ბრელით მოცულს ოთახში. ბევრჯელ შეშინებულნი ამ მკვდარის სიხუმით, მე ღამა-რავს მოფეოლივარ მხოლოდ იმიტომ, რომ ხმურობა უფაქტეო ოთახში; ამ დროს ჩემს სიტყვებს არავითარი აზრი არ ჰქონია. მაგრამ ამ დროსაც კი ჩემი ხმა იმდენად საზარლად შეჩვენებოდა, რომ შევე ვერათდი მის გაცონებაზედ. სწორედ საზარელია, როდესაც მოელს სახლში არავინ მოიბეგება და მარტოდ-მარტო ელაზარაკები შენს თავს, ეს ხმა მამის სულ უცნობ და უცხო ხმად გეჩვენება.

რომელსაც უაზროდ აქნევთ ჰყარში; იცით, რომ უურს არავინ გიგდებათ, და ისიც, თუ რას იტყვით:

მოწყენილად გასიძის ეს ხმა ოთახში და რაღაც მოსკუნებოდ გარდაქმნილი, მოსვენებას არ გაძლევთ.

ღიად, მე შევიყვარე ახალგაზრდა ქალი, რომელიც არაფრით არ განირჩევოდა მარიხელ სხვა ქალებსაგან; ასეთს ქალებს ჩვეულებრივად არ ჭეოფნათ თქვენა ხაშრომის ფასი საცხოვრებლად.

ის იყო წყნარი, კეთილი და მეტად პატიოსანი, მისი მშობლები ზრუსიაში სცხოვრობდნენ და მხოლოდ რამდენისაზე დღით წავიდოდა ხოლმე საჩხაზვად.

მთელი ერთი წელაწადი ვიცხოვრე მასთან, მერე კი გადაწყვიტე თავი დამეჩებებინა, როგორც-კი ისეთს ქალს ენახვიდი, რომელზედაც ჯვარის დაწერა შესაძლებელი იქნებოდა. მე დაუფიქრე მას მცირე რამ საცხოვრებლად მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებაში შიღებულა დაჯილდოვება ქალის სიყვარულისა ფულით, თუ ღარიბია და თუ მდიდარი საჩუქრებით.

მაგრამ ერთს მშვენიერს დილას განძინებდა, რომ ორსულადა ვარო. მე თავზარი დამეცა ამის გაგონებაზე; ეხლა კი ნათლად წარმომიდგა ჩემი მდგომარეობა. აი, ბოროტად, რომელიც მოელს სიცოცხლეში უნდა ვატარო და რომლითაც ამის შემდეგ დაკავშირებული უნდა ვიყო ამ დედაკაცთან და ბავშთან მეთქი. უნდა აღვზარდო, ვასწავლო, შეარველობა გაუწიო და უველა ეს დათვარულად მოვაქმედო, ვმალე ხალხსაცან. ამ ამბის გაგონების შემდეგ ჯერ განს ვერ მოვსულიყავი, რომ რაღაც უცნაური სურვილი დამებოდა. ეს სურვილია ჯერ არ ამომეთქვა, მაგრამ როგორც ეჭვს გარეშე იყო, რომ იგი ჩემს გულში იმალებოდა; ეს იყო ბოროტი სურვილი, რომელიც მხოლოდ დროებით იფარავდა თავს, როგორც ის კაცია, რომელიც კარებს მოჭივარებია და კლის ან ახლა დამიძახებენ და ან ახლავ.

მაგრამ ხომ შესაძლებელია არც კი იცოცხლას? ასეთი პატარა არსებანი ხშირად დაბადებამდის იხორციებიან, ვიფიქრე. არა! მე სრულიადაც არ მსურდა ჩემი საყვარელი მომეკლა. საწყალო, იგი მე ძლიერ მიუვარდა! მაგრამ იქნება ის კი მომეკლა, რომელიც ჯერ არ მენახა? ბავშვი დაიბადა. ჩემს პატარა ოთახში მთელი ოჯახი იყო. ეს კი საშინელება!

უნდა გამოგიტყუდეთ, ბავშვი სრულიად არ მიუვარდა. მამები უფრო გვიან იგრობებენ ხოლმე შვილის სიყვარულს; იმათ არ იციან, რა არის დედის თავგანწირული სიყვარული. ეს გრძნობა მხოლოდ მაშინ ებადებათ, როდესაც მათი კავშირი ფესვს გაიდგამს, გამაგრდება. ერთი წელაწადი გავიდა. ჩემი პატარა ოთახი შევემშინებდი, იგი მუდამ სავსე იყო სკამებზედ გადაფენილ ბავშვის ჩურებით.

უფრო კი იმის წხავილს გავუბობდი: მიეკარებოდა

ვინმე, ახახებდნენ, აცმკვდნენ, აძინებდნენ, ის მუდამ ხხაოდა.

ამ დროს მე ახალი ხატობები შევიძინე. ერთს ოჯახში გავიცანი დედა-თქვენიც. დედა-თქვენი ძლიერ შემეყვარდა, მერთვაც მალე განვუცხადე და თანახმობაც მივიღე.

აქ კი ხაფანგში გაბმულივით დავრჩი. ან უნდა შემერათ ქალი, რომელიც გაგიყვებით მიუვარდა, მაშინ როდესაც მე სხვაისთან მუავდა შვილი, ან და გამეცხადებინა უკვლავი და მამავალს ბედნიერებაზედ უარი მეთქვა. მისი მშობლები კი მეტად სასტიკნი იყვნენ და სიამართლეს რომ გაიგებდნენ, ეჭვი არ არის, ადარ მომცემდნენ.

მთელი ერთი თვე სასოწარკვეთილება და ზნეობრივს ტანჯვაში გავატარე; ამ დროს განმავლობაში არ მშობრდებოდა ათასი მტანჯველი ფიქრი და ვგრძნობდი, რომ დღით-დღე უფრო და უფრო მძულდებოდა ჩემი უკანონო შვილი; ეს ერთი მიჭა ცოცხალი ხხაუნა ხორცი წინ შეღობებოდა, სიცოცხლეს მისწობდა, იმედებს, რომლებიც ახალგაზრდობის სიმშვენიერეს შეადგენენ.

ამ დროს ჩემის საყვარლის დედა ავად გახდა და მე მარტოდ დავრჩი ბავშვთან. ეს იყო ქრისტეშობის თვეში. საშინელი უინხები იყო.

რა დამეა! ეს ეს არის ჩემი საყვარელი წავიდა.

ის იყო ვივახში ჩემს პატარა ოთახში, წამოვდექი და ფეხ აკრებით გავედი იმ ოთახში, საცა ბავშვს ეძინა. ცეცხლს მოვუკვეტი. ხმელი, სუსხიანი და ცივი ქარი ჭქროდა, ცა ვარსკვლავებით იყო მოჭვდილი.

ის მწარე ფიქრები, რომლებიც მოელს თვეს უწყალოდ მტანჯავდნენ, ხელ-ახლად ამეძახნენ და გული შემხუთეს. უსაქმობის გამე მხოლოდ ამ ჩემს გაჭირვებულს მდგომარეობაზე-და ვიფიქრობდი და ეს ფიქრი კი, მოსვენებას არ მაძლევდა. ეს ჯოჯოხეთი ჩემსავუ ოთახში ტრიალებდა, ჩემს გულში ჭბუღობდა და მოსვენებას არ მაძლევდა. მე მსურდა, როგორმე განმედევნა, გადმეყარა გულიდამ ეს დაუმრეტელი ტანჯვა და სხვა უფრო იმედიათ, ახალ გრძნობისათვის დამეთმო ადგილი, მაგრამ ერთს წამსაც ვერ ვადწევდი თავს ამ გულისა და სულის მომწყველელს ფიქრებს.

არ ვიცი როგორ გამოვთქვა ეს ჩემი ტანჯვა. ისე საშინლად მიღრნიდა სულსა და გულს, რომ ვგრძნობდი ფიზიკურადაცა და ზნეობრივადაც ავად ვიყავ, ვგრძნობდი იმასაც რამდენად საზარელი იყო ეს ჩემი მდგომარეობა.

რანიარად დაუაღწიო თავი ამ მდგომარეობას, როგორ მოვასერხო და რა მიზნით ვუთხრა უარი; მე კი გაგიყვებით მიუვარდა თქვენი დედა და სიყვარულია კი იმედუნად ძლიერი იყო, რამდენადაც უძლეველი ხელ შემძლევი გარემოება.

ბრაზი მარხობდა. შეძლავს ვკვანდი... დიად შე  
შეძლილი ვიყავი იმ დამეს.

ბავშვს უძინა. ავდექი და დავხუდე. ეს იყო უკანონო  
ნოდ შობილი ჭიაუელა, არაბობა, რომელიც სამომარს  
უბედურობას მიქადდა.

მას უძინა ზირ-ღიას, საბაში გამოხვეუეს. აკვანი  
ჩემი საწოლის გვერდით იდგა; იმ დამეს იქ ძილი აღარ  
შემქმდო.

როგორ ჩავიდინე ის საზარელი დანაშაული, მე  
თითონაც არ ვიცი! რამ მაძიელა? ბოროტ-მოქმედების  
სურვილმა წაშიტუნა. მე მხოლოდ ვგრძნობდა, რომ გუ-  
ლი სამინლად მიძგერდა თავბრუ მესხმელა, გონება შე  
კარგებოდა, თავს ვუღარ ვიმაგრებდა. მე იმ ვამად იმ  
მდგომარეობაში ვიყავი, რომელიც კაცი ვუღარ არჩევს  
ხოლმე ვერც თავის მოქმედებას და ვერც არსებას.

სელ-სელა ავწიე საბანი ბავშვს და მერე უგრად  
გადავხადე.

ბავშვი ტიტკელი იყო; არ გაუღვიძნია. ფუნ-აკრუ-  
ფით მივედი ფანჯარასთან და გამოვადე. ციფი ქარი ზუ-  
ზუნით შემოჭკროდა სახლში. ქარი იქამდის ციფი იყო,  
რომ უნებურად დავიწიე უკან, სახთღები ჩასაქრობად და-  
აბრიალა. მე ვიდექი ფანჯარასთან და შიშით ვერ მიმე-  
ხედნა ჩემს უკან, ვგრძნობდა როგორ მწკვავად მხვდებო-  
და ციფი ქარი და ოთახი თანდათან ავსებოდა სიციფით.  
ამ დროს მე არაფერზედ არა ვფიქრობდი. უცბად სუს-  
ტმა ხველამ მთელს სხეულს გამაფრფოლა, რომელსაც  
ესლაც კი ვგრძნობ, ცოფიანიფით მივაჯახუნე ორივე ფან-  
ჯარები და აკვანთან მივიარბინე.

იმას ისევ ისე უძინა ზირ-ღიას და ტიტკელას.  
ფუნებზედ ხელი მოუსვია, საშინლად გასცაიებოფა; ავიდე  
და საბანი დავხურე.

ერთბამად გული მომიღობა და ამ არსების მიმარა,  
რომლის მოკვლაც მსურდა, სიბრალეულისა და სიუვარუ-  
ლის გრძნობით ამეფსო. მე დიდხანს ვკოცნიდი მისს  
ნოჩნს თმებს; მერე კი ისევ ცეცხლს მოფუფექი.

მე ვფიქრობდი ჩემს საზარელს მოქმედებაზედ,  
ვეძებდი დასაწიის ჩემის სულიერ ქეჯან-ტანჯვისას, რომ-  
ლის დროსაც კაცს სრულიად ეკარგება ხოლმე უაფუღ-  
გვარი წარმოდგენა. თავს ვერ იმაგრებს, მოქმედებს გო-  
ნება დაკარგულია, არ იცის რას აკეთებს, ან საით მიდის,  
როგორც ქარიშხლის დროს ზვირთებზედ მოქანავე  
ნავი.

ბავშმა ერთხელ კიდევ დაახვედა, გული გადმოვარ-  
დნას მიზირებდა. რომ მოკვდექს—ვიფიქრე... დამერთო!  
რა დამემართება მაშინ?

ავსდექ, სახთელი მივანათე და დავხუდე. ბავშვი მშვი-  
დად და თავისუფლად სუნთქავდა; მე კვლავ დავმშვიდ-

დი. მაგრამ აგერ ბავშვმა შესამედ დაახვედა, ახლა კი  
ისე ცუდად ფიგრძენ თავი, რომ წავიბნობოდა. როქას  
საზარელი რამ მიხვეუნება წარმომიდგა თავად წინ. სახო-  
ლი ხელიდავ გამოვარდა, როგორც იფუნჯე-  
და ავიდე სახთელი; საფეთქელზე ციფმა ოფელმა დაძასნა,  
ისეთი ციფი და მწკვავე ოფელმა, რომელიც სულიერ ტან-  
ჯვის დროს მოსქედება ხოლმე სახეს; აი ეს ოფელი ვა-  
მომხატველი საზარელი ზნეობრივის ტანჯვისა და იმ  
დაფარულის, ქეხჯნისა, რომელიც ცეცხლიფით სწვავს და  
უინულიფით აზრობს ძვალსა და რიბლსა.

ასე დავუფრებდა გათენებამდის ბავშვს; ვგრძნობდა  
სიმშვიდექს, როდექსაც მას წყნარად უძინა და სულსა მხუ-  
თავდა სასოწარკვეთილქება, როდექსაც კი ახველქება.

ბავშვმა რომ გაიღვიძა ავად იყო; თვალები დასწია  
ოფიროდა და ძლიქს-და სუნთქავდა.

დაბრუნდა თუ არა დედა, მე მაშინათვე ექიმთან  
გავტახუნე კაცი. ექიმი ერთას საათის შემდეგ მოვიდა,  
გასინჯა ბავშვი, და იკითხა, არ გაგიციებიათო?

მე კანკალმა აშიტანა და წაფილულდექე:  
— დიად, არა მგონია, ქა!

მერე ვკითხე:  
— საშიშია?

— ჯერ არ ვიცი, სადამოზედ შემოვიფლი, სოქვა  
ექიმმა და წავიდა.

ბავშვმა მთელი დდე ბურანში და ხველამა გაატარა.  
სადამოზედ ექიმი მოვიდა და სოქვა ფილტვების ანთება  
აქქსო.

ბავშვი მთელი ათი დდე ავად იყო. ვერ გამოფსო-  
ქვამ იმ ტანჯვას, რა ტანჯვაც მე იმ ათის დდის გან-  
ძაკლბაში გამოვიარე.

ბავშვი გარდაიცვალა...

მას შემდეგ... იმ წუთიდან ისე არ გაიფლიდა არც  
ერთი საათი რომ ამ საზარელ მოგონებას არ ეღრნა ჩე-  
მი ჭკუა-გონება.

ა' რამ შევძლებდე ჭკუიდან შემლას...

ბ. ზურელ-დე-და გუტმა ანდერძის კითხვა დაას-  
რულა და სათვალეობა მოიხსნა; საშიფვი შემკვიდრეთ ფერ-  
მინდილქებმა და შემკრთალქებმა გადაჯხედქს ერთმანქოს.

რამდენიმე წამის შემდეგ ნოტარიუსმა სოქვა:  
— უნდა დავსწვათ ეს ქალადი.

თანხმობის ნიშიად უველამ თავი ძირს დახარა.

ნოტარიუსმა სახთელი ახთო, ფროთხილად შემოაფა-  
ლა ადსარქებას ანდერძის ფურცლები, წაუკიდა ცეცხლი  
და ბუხარში შეუარა.

სამიფენი თვალს ადექსიქებდენ, როგორ იწოდნენ ეს  
თეთრი ფურცლები. მადე ამ ნამწვებიდან შავი ფურფელი  
და დარჩა. მაგრამ ამ ფურფელში ჯერ კიდევ მოსჩანდა

თეთრი ასოები, რომლებიც ქალმა ფეხით გასრისა აქვე ბუხართან და ნაცარს შეუერთა.

კარგა ხანს კადევ შესტკერდნენ ერთმანეთსა და ნაშვს ფერფლს შემკვიდრენი, ეძინოდან თითქოს აი, ეს არის დამწვარი საიდუმლო ხელ-ახლად თავს იჩენს და აწეებს დადასნაო.

ოლ. ბეჟ-აგლაძისა.

## ივრის ხეობის მეურნეთა თათბირი

არა ჩვეულებრივი დღეები იყო სოფელ საგარეჯოსთვის 29 -- 31 წარსული მარამობისთვისა. აქ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ინიციატივით თავი მოიყარა 500—600 მეურნემ და იწყეს ბჭობა სასოფლო-მეურნეობის შესახებ. ითვალისწინებდნენ იმას რაც დღეს არსებობს და ფიქრობდნენ იმაზედაც, თუ როგორი ცვლილება შემოიღონ მეურნეობაში. თათბირის გარდა აქვე იმართებოდა გამოცდა სამეურნეო მანქანა იარაღებისა, გამოსცადეს სხვა და სხვა გუთნები და ფარცხები, თესლის სარჩევი მანქანები, სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნები, მერძეობის იარაღები და ხილის სახმობი და სხვა. გლეხკაცობა ყველაფერს დიდის ინტერესით ათვალიერებდა, დაწვრილებით იძიებდა მათ ხმარებასა და სარგებლობას. ვინც კი დაესწრო ამ თათბირს, ყველა დარწმუნდებოდა თუ როგორ გადაჭარბებულია ჩვენში გამეფებული შეხედულება გლეხი კაცის კონსერვატორობაზე.

— ჩვენაო, ამბობდა ერთი ხანში შესული გლეხი ჭიბერაშვილი— გვისაყვედურებენ, რომ ჩვენ, გლეხკაცობა, მეტის-მეტად მაგრა ვებლაუჭებით მამა-პაპურს ჩვეულებას და ახალს ადვილად ვერ ვითვისებთ, მაგრამ ეს მართალი არ არის. ჩვენ, გლეხები მეტად ფრთხილები ვართ, ყველაფერს ანგარიშს ვუწევთ და ახალს რასმე მაშინ მოვკიდებთ ხოლმე ხელს, როცა მრავალჯერ დავრწმუნდებით ახალ საქმის უკეთესობაში. გვასწავლეთ, ბატონებო, მეურნეობაში ხმარებული ახალი წესები, დაგვიმტკიცეთ მათი სარგებლობა და მაშინ ჩვენც შევიგნებთ და ზურგს ვაქცევთ მამა-პაპურს ჩვეულებას. მე მოგახსენებთ ერთს მაგალითს, რომლითაც დარწმუნდებით, რომ ჩვენ, გლეხებსაც, შეგვიძლიან შეგნება კარგი საქმისა. უწინ, ჩემს ხსოვნაში, ურმისთვის

ვხმარობდით უბრალო ხის თვლებს, რომლებიც მეტად მალ-მალე ცვდებოდა და იძულებული ვიყავით ყოველ 2—3 თვეში ერთხელ გვეცვალა თვლები; ერთხელ ჩვენს სოფელში მობრძანდა მანქანის უფროსი თავ. ერასტი ჩოლაყაშვილი, რომელმაც გვიჩვენა რკინის სალტებიან ურმის თვლების ხმარება. ჩვენ, რასაკვირველია, ჩვეულებრივის უნდობლობით შევხვდით ამ რჩევას. დიდი და პატარა გაიძახოდა: „რას ამბობ, კაცო, როგორ შეიძლება რკინით შემოჭედოთ თვლების ხმარება; სადმე ტყეში დაგორდება და ურემიც დაიმხვრევა და მეურმეც ქვეშ მოჰყვებაო“. აი ასე ვუპასუხეთ თავ. ჩოლაყაშვილს. გულნაწყენმა თავადმა, როცა დარწმუნდა, რომ მშვიდობიანი რჩევით არა გამოდიოდა, სასტიკად გვიბრძანა თავისი რჩევის ასრულება და დაგვემუქრა— თუ მეორედ მოსვლის დროს არ დამახვედრებთ რკინის სალტებიან თვლებს, დაგსჯითო: მიუხედავად მუქარისა, რკინის სალტებიან ურმის თვლების ხმარება მაინც აინუნში არავის მოსდიოდა. გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე ხანი. ერთმა თოხლიაურელმა მღვდელმა შემოაქედინა რკინით თვლები და იწყო ხმარება. ჩვენ, გლეხები გაფაციცებით ვადევნებდით თვალ-ყურს მღვდლის ცდას. თვალნათლივ ვხედავდით, თუ როგორ სახეიროა რკინის სალტებიანი თვლები, რომლებსაც უბრალო ხის თვლებსავით 2—3 თვეში კი არ უნდებოდა ცვლა, არამედ 10—12 წელიწადს სძლებდა. ამ ცდით დავრწმუნდით, რომ რკინის თვლები მართლა სახეიროა, ვიწყეთ ყველამ მათი ხმარება და დღეს ძველებური ხის თვლების ხმარება საზღაპრო ამბავს ღა წარმოადგენს. აი, ბატონებო, ასე ხდება ჩვენში, გლეხობაში, ახალ საქმის შემოღება. თქვენიც, თუ გინდათ რაიმე ახალი სასარგებლო რამ გვასწავლოთ, ჯერ გვიჩვენეთ, დაგვარწმუნეთ, რომ ახალი საქმე სახეიროა და მერმე ჩვენც მოვკიდებთ ხელსაო“, დაათავა თავისი სიტყვა გლეხმა ჭიბერაშვილმა.

არა ნაკლებ საინტერესო იყო ხაშმელი გლეხის სიტყვები. იგი ნათლად გამოხატავს ჩვენი გლეხკაცობის დღევანდელს მდგომარეობას, რომლის გამო ვერავითარ ცვლილების შემოღება ვერ გაუბედნია მეურნეობაში.

— „ჩვენ, გლეხებს, დღეს ისე გვაქვს საქმე გაჭირვებული და ისეთ სიღარიბეში ვართ ჩაცვივნილი, რომ არავითარი ხარჯის გაწევა არ შეგვიძლიან რაიმე ახალ საქმის გამოსაცდელიდ. დღე-

ვანდელ ღუხუჩორ ცხოვრების გამო, არა გვაქვს თავისუფალი არც ჯიბე და არც მკლავები; თავისუფალი დღეს-დღეობით გვაქვს მხოლოდ ჩვენი თავლები და ყურები. აი, ბატონებო, სულ რითაც შეგვიძლიან მონაწილეობა მივიღოთ ახალს საქმეში. მაღლიანო ხალხო, დაგვანახვეთ და გაგვაგონეთ ახალი საქმის სარგებლიანობა და ჩვენც შევიგნებთ მას“.

ასევე საინტერესო იყო დანარჩენ მოლაპარაკე გლეხების სიტყვებიც. ყველანი მკაფიოდ აღნიშნავენ, რომ დროა მხარი აუქციონ მამა-პაბურს ჩვეულებას, აწისთვის კი საჭიროდ სთვლიან მხოლოდ ცოდნის შეძენას, რომელიც გამოცდაზე იქნება დამყარებული.

ს. კ.

## სომხური პრესა და ილია ჭავჭავაძე

თბილისის სომხურ პრესის რამდენიმე ორგანოს აქვს „ქართული განყოფილება“. ამათ შორის გაზ. „ჰორიზონსაც“ ჰყავს თავისი თანამშრომელი, რომელიც კვირაში ერთხელ თვის მიმოხილვით აცნობს სომხის მკითხველებს ქართულ ცხოვრებას.

ზემოხსენებულ გაზეთის მე-207 №-ში დასტაბულ ამ გვარ წერილის უკანასკნელი ნაწილი ეხება „სახალხო გაზეთში“ ამას წინად დაბეჭდილ მ. რატიანის წერილს, რომელშიც სომხები ნაქებნი იყვნენ თავიანთ იმ თვისებისათვის, რომ დიდათ პატივსა სცემენ სომხის მოღვაწეებს და რომ ახლა ქართველნი დასაცინად გამხდარან სომხების მხრივ, იმის გამო, რომ ერთი ჭავჭავაძე ჰყვანდათ და ისიც კი მოჰკლესო.

ამის გამო „ჰორიზონი“ დასძენს: „ბ. რატიანის სომხების მიმართ ეს ქება ჩვენ უადგილო და ცალმხრივად მიგვაჩნია იმ თვალსაზრისით, რომ ქართული მემარცხენე პრესა დაბეჯითებით ამბობს, რომ მას მტკიცე ფაქტები აქვს თვის ხელთ, რომ ჭავჭავაძე არა მარტო მრისხანე მემამულე იყო, რომელიც სტანჯავდა, ჰყვლევდა, ტყავს აძრობდა გლეხებს, არამედ ჯაშუშობასაც კი ეწეოდა ჩვენთვის სრულებით სასურველი არ არის, რომ სომხებმა თვალდახუჭულადაც დაიცივან თავიანთი ყოველგვარი მოღვაწეებიო“.

ამავე კამათს მეორე „დემოკრატიული“ სომხური გაზეთი „კავკასი დროებერი“-ც ეხება და იმის განცხადების შემდეგ, რომ სომხები „დიდის აღტაცებით და მაღლიერებით აღსავსე ჰკითხულობენ ჭავჭავაძის პოეტურ ნაწერებს“ დასძენს:

„მაგრამ არ შეგვიძლიან ვაუკიცხავად მოვეპყრათ მის მიერ დაჭერილ პოზიციას სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხში, როდესაც იგი

ველიჩკოს ხელში ბრმა იარაღად გადაქცეული, ეროვნულ განხეთქილების ეკალს სთესავდა.

ამასთანავე დიდი მგოსნობა ნებას არ აძლევს მას ნებიერებით ექსპლოატაცია გაუწიოს თავისიანებს.

როგორც მგოსანი, როგორც ხელოვანი ილია ჭავჭავაძე ყოფილა დიდი, ქართველთა და კავკასიის სხვა ერთათვის, მაგრამ როგორც საზოგადო მოღვაწე—მაწვებელი“

ჩვენ განზრახ მოგვყავს სომხურ პრესის აზრი ამ საკითხის შესახებ და გვაგონდება გაზეთ „თემის“ წინადადება. „თემს“ ეხლა კი შეუძლიან დაარწმუნონ თავის თავი, რომ „ილია ჭავჭავაძის ჯაშუშობის საკითხის“ სხვა ერთა ინტელიგენციის სამსჯავროში გადაიტანს არც თუ ისეთი ნაყოფის მოტანა შესძლებია სომხის ინტელიგენციაც სხვა ერის ინტელიგენცია არის და „ჰორიზონი“ და „კავკასი დროებერიც“ სხვა ერის პრესას ეკუთვნის. ჩვენი მკითხველები ამ ამონაწერებიდანაც დარწმუნდებიან, თუ რა სამართლიანი მსჯავრა დასდეს სომხის პუბლიცისტებმა ისეთ საკითხს, რომელიც ასე აღელვებს მთელი საქართველოს.

ჩვენ რასაკვირველია ამ სიტყვებს „ჰორიზონისას“ და მის დამქაშებისას გროშადაც არ ვიყიდით. ჩვენის აზრით ცუდი პატრიოტია ის სომეხი, რომელიც ერთხელ მაინც ცუდად არ მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძეს. მაგრამ ეს ჩვენ ქართველებზედ ახია ახია, იმიტომ, რომ ჩვენა გვაქვს ისეთი მშვენიერი და მაღალ ნიჭიერი თბზულება, დაწერილი იმავ ჭავჭავაძისაგან, რომელსაც „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ლაღადი“ ჰქვიათ. ეს თბზულება რომ არ გვექონოდა, სომხებისთვის მაინც არ იქნებოდა ილია ჭავჭავაძე „ჯაშუში“.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ გაზეთ „სიმართლის ხმა“ თავის მიზანს მიადწია და ეხლა, იმავე ილია ქავჭავაძისა არ იყოს.—

— „სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს“... Sic transit gloria mundi.

## მამულ-დედულით ვაჭრობა

ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა გამწარებით იბრძვიან პოლონელები პრუსიაში მამულ-დედულის შესანარჩუნებლად. პოზნანში ქიანა ბავშვმაც კი იცის, რომ თუ მამულ-დედული უცხო ტომის ხელში გადავიდა, პოლონეთი გაჰქრებაო. ამის გამო პოზნანელი პოლონელი თურმე ისე უყურებს პოლონელ მემამულეს, მამულ-დედულის უცხო ტომის კაცზე გამყიდველს, როგორც ერის მოღალა-

ტეს. ასეთის ვაჟ-ბატონების და ქალ-ბატონების ცალკე სია შეუდგენიათ პოზნანში და სახელად დაურქმევიათ „შავი სია“.

პოზნანელებს თურმე ჩვენმა პოლონელმა ვაჭრებმა და როგორც ერთი რუსული გაზეთი იწერება აქაც ცნობაში მოუყვანიათ თუ რამდენი მამულ-დედული გადავიდა უცხოელების ხელში. პოლონურ გაზეთების სიტყვით 1905—1911 წ. პოლონელ მემამულეებს მიუყიდნიათ საგლებო ბანკისთვის 163.000 დესეტინა მიწა ჩრდილო-დასავლეთს და სამხრეთ-დასავლეთს კუთხეში. უკრაინაში და მოგილიოვის გუბერნიაში გაყიდული კიდევ სხვა ყოფილა.

პოლონური პრესა მწარედ მოსთქვამს, რომ „სამშობლოთი ვაჭრობა“ (რუსულად: Т-РГОВЛЯ ВОТЧИНЫ) ქვეყანას დაღუპავს და ამის გამო ბოლო უნდა მოელოს ამ შეუწყნარებელ აღებ-მიცემასო (გაზეთი „რეჩი“, ამ წლის № 237).

ა. — ლი.

## სრულიად რუსეთის ქალაქთა წარმომადგენლების კრება

ამ ჟამად კიევში გახსნილია სრულიად რუსეთის ქალაქთა წარმომადგენელთა კრება. ქალაქების ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ მოხსენება წაიკითხა თბილისის წარმომადგენელმა **გ. დ. უურულმა**:

— სახელმწიფო სათათბიროში ვ. ნ. კოკოვ-ცოვმა განაცხადა—სთქვა უურულმა— „მოგვეცით კარგი ფინანსები და კარგ პოლიტიკას მოგვემოთ“. პრემიერის ეს სიტყვები ზედ გამოჰქრილია ქალაქებზედ. ქალაქები შებოქვილნი არიან თავიანთ მოქმედებაში საკუთარ საღსართა უქონლობით, რაც გამომდინარეობს საერთო სახელმწიფო გადასახადების სისტემიდან. ქალაქებს ფიქტიური ფინანსიური უფლება აქვთ მინიჭებული. ამიტომ საჭიროა გამოიჯვნა შემოსავალთა წყაროებისა ქალაქის თვითმმართველობათა და სახელმწიფოს შორის. დეე, სახელმწიფომ თვითონ დაიტოვოს საშემოსავლო და სამამულო გადასახადები. ქალაქებს კი საჭიროა მიეცეთ რეალური გადასახადები და სპეციალური გაბეგვრის უფლება. თუ ეს არ იქმნა, ქალა-

ქები არამც თუ განვითარდებიან, მათ მოელით დაღუპვა და ზარალი. თუ ასეთი გამოიჯვნა გადასახადებისა ამ წუთში განუხორციელებია, დეე, სახელმწიფო დაუყონებლივ დაადგეს ქალაქებისთვის სუბსიდიების მიცემის გზას, მაგრამ ეს სუბსიდიები ქალაქებს უნდა ეძლიოთ საზოგადო ხარჯებისთვის, ისე რომ სახელმწიფო მხოლოდ ზოგიერთ განსაზღვრულ ხარჯებში არ იღებდეს მონაწილეობას.

**ბ. უურულმა** შემდეგ ვრცლად დაახასიათა აუტანელი მდგომარეობა რუსეთის ქალაქებისა და ასე დაამთავრა თავისი მოხსენება.

— კრებამ კატეგორიულად უნდა უფხრას სახელმწიფოს წარმომადგენლებს: „მოგვეცით ჩვენ კარგი ფინანსები და ჩვენ შევიქმნით თქვენ კარგ მუნიციპალურ პოლიტიკას“. (ტაშის კვრა).

# შ ი მ შ ი ლ ო ბ ა

დადგა შემოდგომა. ყოველ ამ დროს გლეხი, მიწის მუშა დიდს სიამოვნებას განიცდის და გიორგობისთვე-ღვინობისთვის მოახლოვებას სიხარულითა და აფრთოვანებით ეგებება. მას უხარია რომ მთელი წლის ნაშრომ-ნაღვაწსა და ნაამაგარს მარანსა და სასიმინდეში მოაქცევს, რამდენად უკეთესია მოსავალი, იმდენად მდიდარია გლეხის გულიც სიხარულით. ასეა ეს ყოველთვის, ყოველ წელს, როცა კი მოსავალი გვიანია. წელს კი, წრევანდელი შემოდგომა გლეხობაში მწარე ფიქრების მეტს არას აღძრავს. დასავლეთ საქართველოს ერთ-ნახევარს მაინც შიმშილი კარს ადგია და უკაკუნებს. არსაიდან ხსნა, არსით საშველი, გვაღვებმა ყველაფერი გაანადგურა და მოსპო. იმერეთის მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს თავისა და საქონლის საკვებიც კი იანვრამდის არ გაჰყვება: სიმინდი გახმა, ვენახი ჩამოჭკნა, ხეხილი გაფუჭდა. ბევრ ადგილას სიმინდები იკლისშივე ასკრეს, ჩალადაც გამოუსადეგარი იყო. როგორც იუწყებიან ამავე დღეშია ზემო გურია და სენაკის მაზრის ერთი ნაწილი. რაქა-ლეჩხუმზე ლაპარაკი მეტია, — იქიდან ჩამოსულები ამბობენ, რომ მოსავალი „მოტრუსაო“ და ეს ერთი სიტყვა საგსებით გამოხატავს იმ შემადრწუნებელს სურათს, როგორსაც დღეს რაქის სოფლები წარმოადგენს მოსავლის მხრით. ერთი სიტყვით, აღარ იქმნება სიმინდი, აღარ იქნება ღვინო და ყველაფერს მოკლებული, ბედის ამარა მიტოვებული გლეხი მშიერ-მწყურვალი სად წავიდეს, ვის მიადგეს? გასულ კვირაში ჩვენმა რედაქციამ დებუტატ გელოვანისაგან მიიღო დებე-შით ცნობა: — პეტერბურგში მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს ველაპარაკე შიმშილობის შესახებ, დახმარებას დაჰპირდნო და გვთხოვს, რამდენადაც შეიძლება უტყუარი ცნობები მივაწოდოთ. უტყუარი ცნობებიც ესაა, რომ ჩვენი სოფლების უმეტეს ნაწილს რამდენსავე თვესაც არ გაჰყვება სარჩო და ხალხის კეთილდღეობა შიმშილობის მსხვერპლი შეიქმნება, თუ დროზე არ მივიღეთ რაიმე ღონისძიება. და არა ვისაშუალებთ ამ მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ. მაგრამ რით უნდა გამოიხატოს ეს ღონისძიება, რა სახსარს უნდა მივმართოთ უბედურობის თავიდან ასაცდენად? ჩვენებურ გლეხს, რომ მთავრობის დახმარებაზე გაუძნებელი რამ, ახლოსაც არ გაგიკარებთ. იგი მთავრობისა და მის

წარმომადგენელთა დაპირებებს სკეპტიკური თვლით უცქერის, მას არა სწამს და ვერც დაარწმუნებს, რომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი გულწრფელად შევლენ მის უნუგეშო მდგომარეობაში და გულწრფელადვე გაუწვდიან დახმარების ხელს. არ სწამთ, და აი რატომ: ჯერ ამ სამი წლის წინად. როდესაც გვაღვებმა სულერთიან გააოხრეს ნათესი და შიმშილობის გამო ჩვენს სოფლებში ათასი მემადრწუნებული მაგალითი მოხდა, მთავრობამ გლეხებს სათესლე ფული ასესხა და შიმშილობაზე ათასწილ უფრო მეტად სამძიმო შეიქნა გლეხებისათვის შემდეგში სესხის გადახდა. ჯერ ის, რომ, ვისაც თუმანი ერგებოდა, აბაზით დააკმაყოფილეს ვითომდა ამის გადახდევინებისთვის გაჭირვებულ დროს კარს მიადგნენ.

სწორედ ამან დააშინა ჩვენი გლეხობაც, და ცდილობს გაჭირვება გარედ არ გაიტანოს, შინ, შინაურულად უწამლოს საშინელ სენს. რასაკვირველია, კარგია თუ მთავრობა მართლა გულწრფელად მოეკიდება ამ საქმეს და გამოღებულ დახმარებას ზემოდ ნახსენების სესხის სახეს არ მისცემს, ამისთვის საკმარისია ხალხს დაუბრუნდეს ის ფული, რომელი ყოველი სოფლის საზოგადოებას აქვს სათადარიგო თანხად და რომელიც განსაკუთრებული უბედურების დროს დასახარჯად არის დანიშნული. როგორც ამასწინადაც ვწერდით, საქიროა, ქართველმა საზოგადოებამ, ქართულმა საქველმოქმედო და საზოგადო დაწესებულებებმაც ანგარიში გაუწიონ დამშეულთა უნუგეშო მდგომარეობასა და, ვისაც რამდენი შეუძლია, ყველამ თავისი წვლილი გამოიღოს. უნდა ახლავე უნსდგეს კომიტეტები, რომელიც დამშეულთა რაოდენობასაც გაეცნობა და საშვალების გამონახვაზეც იზრუნებს.

„იმერეთი“

## პასუხი თ. დლონტის

რამდენადაც ბუნდოვანი ეკონომისტია ბატონი თ. დლონტი. იმდენადვე მოურიდებელი და ლოდიკის გამამასხარავებელი პოლემისტი ყოფილა იგი. ჩვენთან კმათს იგი „sine ira et studio“ იწყობს იქიდან, რომ თურმე „სახალხო გაზეთი“, „თემი“ და დასელები ჰკმაობენ ჩვენ პოზიციას ხიზ-

ნობის საკითხის შესახებ და ამგვარად თავიდანვე მკითხველს დემოგოგიურ ქსელში ჰხვევს: მაგრამ გულდადებული მკითხველი, რომელსაც არა მარტო პარტიული ჟინიანობით, არამედ შეგნებულადაც შეუძლიან კითხვა, ყოველთვის მიხვდება იქ დაფარულ სიყალბეს. ბატონ ლლონტის წერილი პასუხი არ არის ჩვენი მკაფიო შეკითხვისა, არ არის იმიტომ, რომ ჩვენი პოზიციის შელახვა მარტო დემოკრატიული და სოციალისტური ლაყბობით ყოვლად შეუძლებელია. და ბატონი ლლონტი სცდილობს კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ ჩვენ **ხიზანთა ინსტიტუტს ვიცავთ**, რომ ჩვენი პოზიცია რეაქციანურია და რომ ჩვენ **გადავამახინჯეთ არ. ჯორჯადის აზრი**.

არ. ჯ.—შვილი ამტკიცებდა, რომ ჩვენ ვიცავთ **ხიზანთა ინსტიტუტს და მისი გიუქმების წინააღმდეგნი ვართ** და როცა ჩვენ ეს ვუარყავით, როდესაც ასეთი ცილისწამება თავისი სახელით გამოვსახეთ და დავამტკიცეთ, მოვსპეთ ლაპარაკი, თვედორე ლლონტიმ ესევე გაიმეორა. ეხლა, ჩვენს მკაფიო შეკითხვაზედ ის პირდაპირი პასუხის მაგიერ ამბორს: თქვენ **იდეაში** იცავთ ხიზანთა ინსტიტუტსაო. ასეთი აბრუნდიც არ ვარგა, ბატონო ლლონტი, იდეაში დაცვა და ის რასაც არჩილ ჯ. შვილი და თქვენა სწერდით წინად სრულებით სხვა და სხვა რამ არის. როდესაც არჩილ ჯ.—შვილი სწერდა, რომ ჩვენ „უსპობთ ოსებს საშუალებას ადამიანურ არსებობისას“ და ბატონი ლლონტი ამასთან სოლიდარობას აცხადებს, ჩვენ კვიკვირს როგორ ბედავს მკითხველის წინაშე ამას **იდე ში დაცვა** დაარქვას. არ. ჯ.—შვილი იქამდისაც კი მივიდა, ვითომ ჩვენ ვაპირობთ რაღაც მექანიკური (!) საშუალებით ბრძოლას ოსობის წინააღმდეგ და მისი თანამოაზრე და **მედასტურე** ლლონტი დღეს ამ მექანიკურ (?) ბრძოლას **იდეაში დაცვის** სახელითა ნათლავს?—ცოტა სიფრთხილე, ბატონო ლლონტი!

ჩვენ იდეაში კი არ ვიცავდით, ჩვენ ისტორიულ სინამდვილეს აღვნიშნავდით პატივცემულ ა. ყიფშიძის წერილებით, რომ **ოდესღაც** ხიზნობა უწიარო ინსტიტუტი იყო, რომ იგი **შედარებით** ბატონყმობასთან სანატრელი მოვლენა იყო ყმისათვის; შემდეგ კი იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის იარაღად გადაიქცა, ბიუროკრატიის ჩარევისა გამო. ამ ორს ძირიან-ფესვიანად განსხვავებულს ხანას ხიზნობისა ისტორიაში, ა. ყიფშიძემ რამდენიმე წერილი უძღვნა **გასარკვევად**, მაგრამ სახალხო-

ლები მაინც თავისას გაიძახიან და ერთმანეთში ურევენ სხვა და სხვა ცნებას: რას ვიცავთ ჩვენ (თუნდა იდეაში) — ისტორიული ხიზნობის უწყინარობას **შედარებით** ბატონ-ყმობასთან? ახლანდელი გამწვავებული და ყოველს აზრს მოკლებული მდგომარეობა გვსურს შევინარჩუნოთ? ამას განგება რევთ, ბატონო ლლონტი, რადგან ჯერ თქვენთვისაც ვერ გამოგიჩვენებიათ ეს საკითხი.

არ. ჯ.—შვილი ამტკიცებდა. მაგ., რომ ხიზნობა ბატონყმობის ნაშთიაო და თქვენ იქამდისაც კი მიდიხართ, რომ ხიზნობასა და ყმობას შუა განსხვავებას არა ხედავთ. რასაკვრველია, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ **ისტორიული** ხიზნობა გაქვთ მხედველობაში (თუმცა ამას არ ამბობთ?), რადგან ხომ არ შეიძლება **ახლანდელი** სახიზნო დამოკიდებულებაც შეუდაროთ ბატონ-ყმურსა?

ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ხიზნობა **თავისუფალი ხელშეკრულობა** იყო ისტორიულად, ე. ი. ხიზანს თავისი ნებით შეეძლო შესვლა **ხიზნად** და თავისივე ნებითვე წასულიყო მემამულესაგან. ჩვენ არსად არ გვითქვამს, ვითომ სახიზნო ხელშეკრულობა „არ საზღვრავს და ამცირებს ხიზნის პიროვნულ ინტერესებს“—ეს თქვენი საკუთარი, საპოლემიკო, თაღლითური გადამახინჯება ჩვენის აზრისა. პირიქით ჩვენ მკაფიოდ ვწერდით (იხ. № 31), რომ ყველა ხელშეკრულებაში ილახება პიროვნული ინტერესები, მაგრამ ამით ხელშეკრულობა თავისუფალ ადამიანთა თავისუფალ კავშირის იურიდიულფორმალურ სახეს არა ჰკარგავს. ა. ყიფშიძის წერილებში აღნიშნული იყო რამდენიმე **კატეგორიაც** კი ხიზნებისა, მათი განსხვავებანიც კი ერთმანეთში, არამცთუ მათი ძირითადი განსხვავება ყმებისაგან. ბატონი ლლონტი კი ერთმანეთში დომხალივით რევს ყველაფერს და თამამად ამარტივებს ისტორიულ განწყობილებას: „იყო მამულიანი ხალხი და უმამულიო ხალხი, პირველი გაბატონებულია პოლიტიკურად და ყოველის მხრივ, მეორე დამონავებულია ყოველის მხრივ.“ „...ამათ გარდა თავისუფალს ჩვენ ვხედავთ მოვაჭრეებს, რომელთა რიცხვი მეტად მცირეა...“ „გლებკაციდან, ყმიდან, როგორც მწარმოებელიდგან (ხიზანი ხომ უპირველეს ყოვლი-





საშწარმოებელი) თავისუფალი წოდება ხიზნობა არ შემდგარა ჩვენში“.

ბატონი ლლონტი ამ ამონაწერებში ასეთსავე სიბეცეს აჩენს ისტორიული პერსპექტივის განხილვის დროს, როგორც ჩვენი თანამედროვე დასელგები“.

არიან კაპიტალისტები და პროლეტარიატი, არის ორი კლასის ბრძოლა და დანარჩენი ქვეყანაზედ არაფერია, არაფითარი სოციოლოგიური სხვა მოვლენა არ არსებობს. ასეთ კაცს ძნელია დაუმტკიცო განსხვავება არა მარტო ხიზანსა და ყმას შუა; არამედ თუნდა პროლეტარსა და გასუქებულ გლეხს შუა, ან თუნდა ბოგანო გლეხსა და თ. ლლონტის შუა.

ამათ გარდა ლლონტი ხედავს (?) „თავისუფალს მოვაჭრეებს, რომელთა რიცხვი მეტად მცირეა“. მაგრამ ეს სიმცირე სრულებით არ უშლის ხელს, რომ ისინი თავისუფალნი იყვნენ ლლონტის შეხედულებით. ხიზნები კი თურმე თავისუფალნი ვერ იქნებოდნენ, რადგან „თავისუფალი წოდება“ არ შეუქმნიათო. მერე ვინ ამტკიცებდა, ან ვისთვის რა საჭირო იყო იმის მტკიცება რომ ხიზნობა თავისუფალი წოდება იყო? პირიქით ჩვენ სულ იმას ვამბობდით, რომ სულ უკანასანელ დრომდის ხიზნობა ისე მცირე იყო, ისეთი ვიწრო ფარგალი ჰქონდა, რომ სახსენებლადაც არა ღირდა.

რასაკვირველია, ხიზნობას წოდება არ შეუქმნია (ასეთი ამერიკის აღმოჩენა მარტო სახალხოელებს შეუძლიანთ ხოლმე), მაგრამ ვანა ყველა ფორმა სოციალური დამოკიდებულებისა წოდებაში ჩამოყალიბდება ხოლმე? მერე ისიც ისეთი მცირე როგორიც იყო ხიზნობა? ამისთანა ლოლიკათ რომ ვიაროთ, 4—5 წოდების მაგიერ ქვეყანაზედ ათასი წოდება იქნებოდა, რადგან განსხვავებანი სხვა და სოციალურ ჯგუფებისა უფრო ბევრია ვიდრე სოციალ დემოკრატიულ გამარტივებულ შეგნებას შეუძლიან აღნიშნოს თავის ფირფიტაზედ.

ზოგიერთ ასეთს განსხვავებას ბატონი ლლონტი, სხვათა შორის, ვერ ამჩნევს ხიზნობასა და ყმობის შუა: „აგეთ თავისუფლების შოვნა ყმას ბატონყმობაში სრულებით არ შეუძლიან \*), იგი ბატონყმობის თვით ბუნებას ეწინააღმდეგება, ასეთი ხალხი ვიცით ჩვენ(?) მხოლოდ და მხოლოდ კაპიტალისტურ ხანაში“).

ეს სიტყვები ამოწერილია იმისთანა სოციოლოგის და ეკონომისტის წერილიდან, როგორც გახლავთ ბატონი ლლონტი. მეოთხე კლასის შევირდმაც კი უნდა იცოდეს, რომ ბატონყმობის დროს კი არა, თვით მონობის დროსაც კი (рабство), რომში ავიღებთ მას, თუ თვით ამერიკაში (ზანგებისას) — ყმას და მონასაც შეეძლოთ განეთავისუფლენ ბინათ თავი სასყიდელით, ან დამსახურებით და ასეთი ბავშვური ლაყბობით თავის საკუთარ ყურს თუ დააჯერებს ბატონი ლლონტი, თორემ დასაბეჭდათ და მკითხველის დასაჯერებლად გამოტანა ასეთის მსჯელობისა მარტო „სახალხო გახეთს შეუძლიან“ — (ფერი ფერსაო, ნათქვამია).

ესეთ აფორიზმებს, ლლონტი იმასაც უმატებს, რომ გლეხი, ხიზანი მოიჯარადრე ვერ იქნებოდა, რადგან „მოიჯარადრეობა ჰგულისხმობს ორს თანაბარს, სწორუფლებიან ინდივიდუმს რასაც ფაქტიურად და იურიდიულ ფორმალურად არ წარმოადგენდა მაშინდელი, ყმებისაგან გამოსული, მამულს მოკლებული გლეხი“. ამ მოსაზრებით რომ ხასიათდებოდეს მოიჯარადრეობა—დღესაც ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა იგი, რადგან მაგ. დღევანდელი მოიჯარადრე გლეხი, ყმებისაგან გამოსული, მამულს მოკლებული, ფაქტიურად და იურიდიულ-ფორმალურად არ წარმოადგენს თანაბარს და სწორუფლებიან ინდივიდუმს თავის მემამულე თავადთან, მაგალითად. მაგრამ, ბატონო ლლონტი, თქვენ როგორ გაარჩევთ მოიჯარადრეობის ცნებას სხვისაგან, როცა მთელი ქვეყანა გაყოფილი გაქვთ ორ მოწინააღმდეგე ბანაკად და ასეთ ცნებათა გარჩევას არც უნდა მოჰკიდოთ ხოლმე ხელი. თორემ აი აგიხსნით დღესა და ხვალ ისევ წარმოროშავთ რასმე შეუფერებელს.

რ. გ.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

\*) ხაზი ჩვენია.

მ ი თ ხ ო ვ ე თ . ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო




საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხა-ბადში, ტაშკენტში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოდება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866<sup>1</sup>/<sub>2</sub> ღმებინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უპანახაველ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყვებულა.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.